

Share

0

More

Next Blog»

# სამხრეთის კარიბჭე

|         |               |          |                         |                    |          |  |
|---------|---------------|----------|-------------------------|--------------------|----------|--|
| მთავარი | ვინ ვართ ჩვენ | ავტორები | ფინანსური მხარდამჭერები | სასარგებლო ბმულები | კონტაქტი |  |
|---------|---------------|----------|-------------------------|--------------------|----------|--|

## სოფლები ნაგავსაყრელების გარეშე



იმის გამო, რომ სოფლებში არ არსებობს ლეგალური ნაგავსაყრელები, სოფლის მოსახლეობას ნარჩენების გადაყრა მდინარის პირას, ხევებში ან ღელეებში უწევს. მანანა სარაშვილი, ადიგენი ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელი ბენარა ერთ-ერთია, იმ სოფლებს შორის, რომელთაც ნაგავსაყრელები არ აქვთ.

“ჩვენი უბნის მცხოვრებლები ყველა სახის ნარჩენს ერთ პატარა ადგილზე ვყრიან. წვიმის დროს წყალს ნაგავი დაბლა ჩამოაქვს, იქ, სადაც ხალხს ნაკვეთები აქვს”, - ამბობს სოფელ ბენარის მკვიდრი ნოდარ მღებრიშვილი.

მისი თანასოფელის რევაზ გოგიაშვილის თქმით, მოსახლეობა ნაგავს მდინარის პირასაც ყრის. ნარჩენების ნაწილი წყალს მიაქვს, ნაწილი კი ნიადაგში ლპება ან იქვე არსებულ ნათესებში იფანტება.

ანალოგიურ მდგომარეობაშია სოფელი ვარხანიც. ადგილობრივები ამბობენ, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს დახოცილი შინაური ფრინველი და ცხოველიც ემატება. ასეთი შემთხვევა იყო გასულ წელს სოფელ ვარხანში. მზია დემეტრამის თქმით, დახოცილი შინაური ცხოველები მდინარის ნაპირზე იქამდე ეყარა, ვიდრე არ გაიხრწნა: “ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ მავნე ნივთიერებებმა ნათესებშიც გაჟონა”.

რამდენიმე მცირე ნაგავსაყრელია სოფელ ხევაშენშიც, ერთი ვარხნისა და ხევაშენის დამაკავშირებელი ხიდის ახლოს, მდინარის პირას, დანარჩენები კი სამოვრების მახლობლად.

“მე ნაგავს ეზოში ვწვავ, მაგრამ არიან ოჯახები, რომლებიც მდინარის პირას ან ბუჩქნარში ყრიან, იქ სადაც საქონელს ვრეკავთ”, - ამბობს ხევაშენის მკვიდრი სიმონ ლომსიანიძე.

არასამთავრობო ორგანიზაცია “საქართველოს მწვანეთა მოძრაობის” ინფორმაციით, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მხრივ სოფლებში მართლაც მძიმე მდგომარეობაა.

“სოფლის მოსახლეობა, ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით, ნაკლებ ნარჩენს წარმოქმნის, მაგრამ იმ მცირედი ნარჩენის შესაბამის ტერიტორიაზე განთავსებაც მოუჭვარებელია. ამიტომ, ეს ნარჩენი საბოლოოდ სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ძირითადად კი ღელეებში, ხევებსა და მდინარეებში იყრება, - ამბობს “საქართველოს მწვანეთა მოძრაობის” თავმჯდომარე ნინო ჩხოზაძე.

მისივე განმარტებით, დარღვეულია უსაფრთხოების ყველაზე ელემენტარული მოთხოვნა - შემოღობვა, რის გამოც, ტერიტორიაზე ადვილად შედის უცხო პირები და პირუტყვი: “ადამიანები ნაგავსაყრელზე თვითნებურად აგროვებენ მინისა და პლასტმასის ბოთლებს, საყოფაცხოვრებო ნივთებს, ლითონებს. ლითონების შეგროვებისას კი აღრიცხულია აფეთქების ფაქტებიც, სავალალო შედეგებით”.

გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია “მწვანე ალტერნატივას” ანალიტიკოსის ქეთი გუჯარაიძის თქმით, პრობლემა ისიც, რომ არ ხდება ნარჩენების დახარისხება: “არასათანადოდ მოწყობილი ნაგავსაყრელებიდან გაჟონილი მავნე ნივთიერებები ხვდება ნიადაგში, მდინარეებსა და მიწისქვეშა წყლებში და იწვევს მათ დაზინძურებას. დიდი წვიმებისა და წყალდიდობებისას ნარჩენები ირეცხება მდინარეებში. დაზინძურებული წყლით ისევე ჩვენ ვსარგებლობთ - ვიყენებთ სასმელად და სარწყავად”.

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს გეგმა არ გააჩნიათ. ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის სიმონ პარუნაშვილის თქმით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით ნარჩენების გატანა და დასუფთავება მხოლოდ ადიგენსა და აბასთუმანში ხდება: “იმის გამო, რომ სოფლის მოსახლეობა არ იხდის ნაგავის მოსაკრებელს, აღნიშნული სოფლებიდან ნაგავის გატანა არ ხდება”.

“მწვანე ალტერნატივას” ინფორმაციით, საქართველოში ამჟამად მოქმედი თითქმის ყველა ნაგავსაყრელი

### ძებნა საიტზე



### სიახლეების გამოწერა

- Posts
- Comments

### რუბრიკები

- ანონსი (11)
- ახალი წელი (1)
- განათლება (157)
- ეკონომიკა (3)
- ეკონომიკა (149)
- კულტურა (35)
- ნიუსები (12)
- პოლიტიკა (138)
- რეგიონი (100)
- რელიგია (6)
- რელიგია (6)
- რეპორტაჟი (8)
- საავტორო სვეტი (12)
- საახალწლო ნომრის კურორტები (3)
- საზოგადოება (124)
- სამართალი (28)
- სამშობლო (1)
- სკოლა (1)
- სპორტი (23)
- უფლება გაცეს იგოდე (4)
- ფოტორეალდება (1)
- ფოტორეპორტაჟი (7)
- ჩვენი ფილმები (8)
- ჯანდაცვა (80)

### არქივი

- 2012 (32)
- ▼ 2011 (339)
  - December (16)
  - November (45)
  - October (30)
  - September (18)
  - July (44)
  - ▼ June (41)
    - შეუმჩნეველი პრიორიტეტი
    - სოფლები ნაგავსაყრელების გარეშე
    - ავარიული სკოლა და მდუმარე

საბჭოთა პერიოდში მოწყობილი. 1996 წლის კანონი "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" ყველა ძველ ნაგავსაყრელს ათავისუფლებდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარებისა და გარემოსდაცვითი ნებართვის აღების ვალდებულებისგან.

ქეთი გუჯარაიძის თქმით, სიტუაციის გამოსასწორებლად 2007 წელს ყველა "ძველი" ნაგავსაყრელის ოპერატორს დაევალა 2010 წლის პირველ იანვრამდე ჩატარებინა ობიექტის ეკოლოგიური აუდიტი, რაც არ განხორციელებულა: "შესაბამისად, 2010 წლის პირველი იანვრიდან საქართველოში არსებული ყველა ნაგავსაყრელი ოპერირებს ნებართვის გარეშე, რაც კანონდარღვევაა".

სიტუაციის გამოსასწორებლად, ყოფილმა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ შემოქმედება "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღების ვალდებულების 2014 წლის პირველ იანვრამდე გადავადებას. კანონპროექტი პარლამენტმა 2011 წლის 21 მარტს მიიღო.

ქეთი გუჯარაიძის თქმით, თვითმმართველობის ერთეულებს შეზღუდული რესურსები გააჩნიათ ამგვარი ვალდებულების შესასრულებლად: "რეალურად არის დიდი ალბათობა იმისა, რომ 2014 წლის იანვრამდე ეს ვალდებულება არ შესრულდება. ჩვენი აზრით, ასეთი ცვლილება მხოლოდ დროებით შეამსუბუქებს მაკონტროლებელ ორგანოების "ტვირთს".

"მწვანე ალტერნატივას" აზრით, აუცილებელია, რომ ვალდებულების გადავადებასთან ერთად, განისაზღვროს ზუსტი ჩამონათვალი ნაგავსაყრელებისა, რომლებსაც ეხება ეს მოთხოვნა. გაიწეროს სავალდებულოდ გასატარებელი ღონისძიებების ნუსხა.

"მწვანეთა მოძრაობა" კი არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროდ მიიჩნევს ნარჩენების მართვის საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას.

"ნარჩენების შესახებ" კანონის მიღება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ისეთ პრობლემის მოგვარებას, როგორცაა საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების კლასიფიკაცია, შეგროვება, სახელმწიფო აღრიცხვა-ანგარიშების სისტემის ჩამოყალიბება, ტრანსპორტირება, რეციკლირება და ხელახალი გამოყენება. ასევე, მათი განთავსების საკითხები, - ამბობს ნინო ჩხობამე.

მისივე თქმით, კანონი ასევე დაავალდებულებს შესაბამის მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებს გაატარონ ის აუცილებელი და გადაუდებელი ღონისძიებები, რომლებიც შექმნიან შესაბამის გარემოს ნარჩენების სწორი მართვისთვის.

на Thursday, June 30, 2011

Recommend this on Google

რუბრიკა ჯანდაცვა

### No comments:

### Post a Comment

დატოვე კომენტარი

Enter your comment...

Comment as: Google Account

Publish Preview

Newer Post

Home

Older Post

Subscribe to: Post Comments (Atom)

- პერსონალი
- სადეო რიტუალების სახლი
- საარჩევნო სამზადისის დაწყებამდე
- "ერე სამკუთხედის მსხვერპლი"
- საარჩევნო კოდექსის შეცვლის ბოლო მცდელობა
- ცვლილება ტელეფონის ნომრების ნუმერაციამი
- გარემო ბავშვის განვითარებისთვის
- რამდენად ღიაა საჯარო ინფორმაცია
- სადეო საკითხები და მოლოდინები
- "ისტორიული ვიზიტი" პოლიტიკური კონტექსტით
- "ისტორიული ვიზიტის" დეტალები
- რატომ მვირდება ხორცი?
- ბრალდების გარშემო გაჩენილი ეჭვები
- მართლმსაჯულება ლიბერალური გზით
- გამოცდების შედეგები ბორჯომში
- ქვევის კოდექსი მედიკოსებისთვის
- ეროვნული შეფასება მეოთხეკლასელთათვის
- სომხეთის საკონსულო სამცხე-ჯავახეთში
- შეწყვტილი დახმარება
- "სამხრეთის კარიბჭე" #20(332)
- საქართველოს პატრიარქი და სომეხთა კათალიკოსი სამცხე...
- გასაიდუმლოებული მშენებლობა
- სასამართლო გადაწყვეტილება, რომელმაც ვერაფერი შეცვალა...
- ვწავთ, ანუ ვანადგურებთ?!
- აშშ-ს ინტერესები საქართველოში
- საატესტატო გამოცდების შედეგები
- ფინანსური შემოწმება "მედიაპალიტრაში"
- ცვლილებები სოციალურ პაკეტში
- შინაური თუ საფირმო
- E-ცოლი - არის თუ არა ინფიცირების საფრთხე?
- "მოსწავლეების გაცვლა" - ქართული